განმარტებითი ბარათი

„სლოვენიის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ"

შეთანხმების პროექტზე

„სლოვენიის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ" შეთანხმება მიზნად ისახავს საქართველოსა და სლოვენიის რესპუბლიკის თავდაცვის უწყებებს შორის თანამშრომლობის საფუძვლების განსაზღვრას.

შეთანხმების თანახმად, საქართველოსა და სლოვენიის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროების თანამშრომლობის სფეროებია თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა, სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის განათლება და წვრთნა, შეიარაღების კონტროლი და განიარაღება, ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციის „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის (NATO PfP) ღონისძიებებში ერთობლივი მონაწილეობა, ჰუმანიტარული და მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციები, თავდაცვის ლოგისტიკა და სხვ. რაც შეეხება თანამშრომლობის განხორციელების ფორმებს, შეთანხმების მიხედვით, ეს მოიცავს ოფიციალური ვიზიტებსა და სამუშაო შეხვედრებს, გამოცდილების გაზიარებასა და კონსულტაციებს, წვრთნებში ერთობლივ მონაწილეობას და სხვ. ამასთანავე, შეთანხმება ითვალისწინებს თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ ყოველწლიური გეგმების დამტკიცებას.

შეთანხმების მიხედვით, თანამშრომლობის ყველა სახის აქტივობის განხორციელებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯები დაიფარება ხელშემკვრელ მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

შეთანხმება უზრუნველყოფს თავდაცვის უწყებებს შორის თანამშრომლობისას მათ მიერ გაგზავნილი, მიღებული და დამუშავებული საიდუმლოობის შემცველი ინფორმაციის დაცვის გარანტიებს, რაც გამოიხატება ინფორმაციისათვის შესაბამისი საიდუმლოობის გრიფის მინიჭებით, წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე ინფორმაციის მესამე მხარესათვის გადაცემის დაუშვებლობით და სხვ.

აღნიშნული შეთანხმების გაფორმება ხელს შეუწყობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოს - სლოვენიის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შორის თანამშრომლობის გააქტიურებასა და გაღრმავებას.